2022 წლის 29 ივლისს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ ეგიდით გაიმართა მორიგი სემინარი, რომელზეც წარმოდგენილი იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინასებული, „საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების“ პროექტის - **„საზღვრისპირა მოსახლეობის ეთნო-კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოურ პერიოდში (კახეთი)“** (BRG-I-21-954) ფარგლებში შესრულებული კვლევების შუალედური შედეგები, კერძოდ, განხილული იქნა მეცნიერთა ჯგუფის მიერ ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მოწყობილი ექსპედიციის მასალები.